



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### ბორა

ბორა (*Milvus milvus*), ფრინველი შავარდნისნაირთა რიგისა.

გავრცელებულია ცენტრ. და სამხრ. ევროპაში, მცირე აზიაში, ჩრდ.-დას. აფრიკაში, ბალტიისპირეთში, კავკასიაში. საქართველოში თითქმის ყველგან გვხვდება. მისი სხეულის სიგრძეა 58-61 სმ. აქვს ორკაპა ბოლო, გრძელი (47,5-53 სმ) და ფართო ფრთები, რ-თა შლილი 150-170 სმ. ბინადრობს ტყის პირებზე. ბუდეს ხეზე აგებს. ვერტიკალურად ვრცელდება 2400 მ-მდე. აპრილში დებს 2-3 კვერცხს. იკვებება პატარ-პატარა მღრღნელებით (რითაც ერთგვარი სარგებლობა მოაქვს), ხვლიკებით, მწერებით. იმვიათად - შინაური ფრინველებით. ქვესახეობიდან საქართველოში გვხვდება ჩვეულებრივი ბ. (M. m. *milvus*).

---